განმარტებითი ბარათი

<u>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ჯართის შემოტანა ხორციელდება ქვეყანაში არსებული ჯართის მიმღები პუნქტებიდან და იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც წარმოექმნებათ ჯართი კოდით 17 04 05. ამასთან, აღნიშნულია, რომ საკაზმე ჯართში აღმოჩენილი ფეთქებადი საგნები (სხვადასხვა დანიშნულების ბალონები, დახურული და ზეთიანი საგნები, ამორტიზატორები, ჯეკოები, და სხვ.) დასაწყობდება უსაფრთხო ადგილას, შემდგომი დამუშავების მიზნით, სამხედრო დანიშნულების საგნები (საბრძოლო მასალის, ტყვიაწამლის, ჭურვების, ნაღმების, ბომბების, საბრძოლო ქობინების) შემოიზღუდება ამკრძალავი ლენტით და სამუშაო პროცესი შეჩერდება. აღნიშნულის გათვალისწინებით დასაზუსტებელია ინფორმაცია კომპანიაში მისაღები ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა) შესახებ, ასევე, წარმოსადგენია ზემოაღნიშნული ნარჩენების მართვისათვის განსაზღვრული აღდგენა/განთავსების ოპერაციის კოდი.</u>

პასუხი- საწარმოში ჯართის შემოტანა ხორციელდება ქვეყანაში არსებული ჯართის მიმღები პუნქტებიდან და იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც წარმოექმნებათ ჯართი კოდით 17 04 05.

რაც შეეხება სხვადასხვა დანიშნულების ბალონები, დახურული და ზეთიანი საგნები, ამორტიზატორები, ჯეკოები, და სხვას გაცნობებთ, რომ კომპანია არ გეგმავს მის გადამუშავებას ადგილზე და ის ხელშეკრულების საფუძველზე დაუყოვნებლივ დაუბრუნდება მომწოდებელს ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ჯართის მიღება ძირითადში ხორციელდება ამავე კომპანიის საკუთრებაში არსებულ საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით მდებარედ არსებული ჯართის მიმღები პუნქტიდან, რაც ზემოაღნიშნული გარემოებების ნივილირებას არდენს.

აღნიშნული ჯართის მიმღები პუნქტები რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს როგორც ცალკე ბიზნესოპერატორი და აღნიშნულიდან გამომდინარე მათი ფუნქციონირება გზშ-ის ანგარიშით არ განიხილება.

საბრძოლო მასალის, ტყვიაწამლის, ჭურვების, ნაღმების, ბომბების, საბრძოლო ქობინების აღმოჩენის შემთხვევაში კომპანია პირველ ეტაპზე მიიღებს უსაფრთხოების ზომებს როგორც ეს გზშ-ის ანგარიშით არის აღწერილი და ეცნობება 112. როგორც მოგეხსენებათ აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქ საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნების შემცველ გარემოებებთან. ადგილზე უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით სამართალდამცველი უწყების შესაბამისი სამსახურების მიერ განხორციელდება საპროცესო მოქმედება-„ნივთმთკიცების ამოღება“.

აღნიშნული გარემოების განხილვა გზშ-ის ანგარიში განხილვა მოიცავდა უსაფრთხოების ნორმების არსებობის/დანერგვის აუცილებლობას და ის ზოგადი ხასიათისაა რისი გამორიცხვაც არ შეიძლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია არ გეგმავს გარდა ჯართის კოდით 17 04 05 ნედლეულის გადამუშავებას.

<u>წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია წიდის მართვის შესახებ, რა რაოდენობის წიდის დასაწყობება ხორციელდება წლიურად, აქედან რამდენი მოხმარდება კაზმის მომზადებას და რა რაოდენობა გაიყიდება სამშენებლო კომპანიებზე (განხილული უნდა იქნას ინფორმაცია აღნიშნული ნარჩენების შესახებ თუ როგორ და ვინ უზრუნველყოფს მის საბოლოო დამუშავებას). ასევე, წარმოსადგენია ინფორმაცია კაზმის გადამუშავების პროცესში დარჩენილი ნარჩენი წიდის (კოდი, დასახელება, რაოდენობა და შემდგომი მართვის) შესახებ;</u>

პასუხი- წარსულში წიდის დასაწყობება ხორციელდებოდა სამუშაო მოედანზე, ხოლო წარმოდგენილი განახლებული გზშ-ის ანგარიშის თანახმად გეცნობათ, რომ კომპანია წიდის დასაწყობებას საწარმოს ტერიტორიაზე არ გეგმავს, ის გადაეცემა ამავე კომპანიის კუთვნილ ჯართის მიმღებ პუნქტს ყოველი სამუშაო დღის შემდგომ.

გაცნობებთ, რომ კაზმის მომზადების პროცესში წიდა არ გამოიყენება. ამავე კომპანიას საწარმოს ტერიტორიის აღმოსავლეთით მოწყობილი აქვს ჯართის მიმღები ორი პუნქტი, რომლებიც რეგისტრირებულია, ოპერირებს ცალკე როგორც ბიზნესოპერატორი- აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნა განმარტებული გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 1.1.1 ამავე პარაგრაფი განგემარტათ, რომ წარმოდგენილი ჯართის მიმღები პუნქტებიდან მიწის ნაკვეთზე 81.06.21.473 კომპანიას სამინისტროსთან შეთანხმებულიაქ წიდის დროებითი დასაწყობებაც რისთვისაც გამოყოფილიაქ სპეციალური უჯრედი მისი დროებითი განთავსებისთვის.

აღნიშნული წიდა შემდგომში (კონდიციური-მარაგის დაგროვება) გადაეცემა სამშენებლო მასალების დამამზადებელ კომპანიას ხელშეკრულების საფუძველზე.

ჯართის მიმღები პუნქტები მართალია ამავე კომპანიის საკუთრებაა, მაგრამ წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშით (მათი ოპერირება) არ განიხილება, ვინაიდან ცალკე ოპერირებადი სუბიექტებია. აღნიშნული ინფორმაცია სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის ელ/სისტემაში იძებნება.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად დამატებით გაცნობებთ, რომ კომპანია რომელმაც საბოლოოდ უნდა მართოს წიდა გახლავთ შპს „გრუპი“ რომელიც საქმიანობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ კრწანისში. საქმიანობის საკანონმდებლო საფუძველი: 2022 წლის 29 მარტის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-293

<u>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ჯართის საწყობის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები იკრიბება შემკრებ არხებში და შემდგომ ნავთობდამჭერში. წარმოდგენილი უნდა იყოს ნავთობდამჭერიდან ამოღებული შლამის მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია;</u>

პასუხი- გაცნობებთ, რომ კომპანიამ დაიწყო ტერიტორიის მოშანდაკება ბეტონის საფადრით და ნავთობდამჭერში გრუნტის მოხვედრა გამორიცხულია, ასევე ნივილირებულია საპოხი მასალით და საწვავით დაღვრის რისკებიც-ვინაიდან პირველადი ჯართის მიღება ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ. არნიშნულ ტერიტორიაზე მძიმე ტექნიკის გადაადგილება შეზღუდულია- ჯართის მიღება და

გადადგილება ტერიტორიაზე ძირითადში სპეც/ამწის გამოყენებით ხორციელდება. ნავთობდამჭერი არსებობა განპირობებული იყო თავისდროზე გრუნტის და გრუნტისწლებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით.

ჩვენს შემთხვევაში ნავთობდამჭერში შესაძლოა მოხვდეს მხოლოდ ლითონის-ჟანგის მცირე ფრაქცია რომელიც წარმოებასში გამოიყენება, ნავთობდამჭერი თავისი ტექნიკური მონაცემებით წარმოადგენს მარტივი ტიპის ორსექციან სალექარს და ის ძირითადში შეწონილი ნაწილაკების შეკავების ფუნქციას ითავსებს.

რაც შეეხება ნავთობდამჭერში ნავთობპროდუქტების მოხვედრას, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ის მხოლოდ მცირე რაოდენობით შეიძლება თეორიულად დავუშვათ და ჩვენს შემთხვევაში აბსორმენტის-ნაჭრების გამოყენებით განხორციელდება მისი ამოწმენდა, რაც კოდიფიცირდება 15 02 02* და აღნიშნული საკითხი განხილულია გზშ-ის ანგარიშის პარაგრაფი 5.7

<u>გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ მონიტორინგის გეგმაში არ არის გათვალისწინებული ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;</u>

პასუხი- როგორც მოგეხსენებათ, ძირითადი ინფრასტრუქტურა დახურულ სივრცეშია განთავსებული რომელიც აკუსტიკური ხმაურის გამომწვევი წყაროებია. ასევე, ანგარიშით (პარN5.2) ყველაზე უარეს შემთხვევაზე განხორციელდა შეფასება აკუსტიკური ხმაურის გავრცელების შემთხვევაში და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს № 398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან სავალდებულო მონიტორინგის საკითის მოთხოვნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობის ნაწილშიც შეუძლია გაითვალისწინოს.

<u>გზშ-ის ანგარიშში არ არის დახასიათებული საწარმოს აღმოსავლეთით მოსაზღვრე კომპანიის საკუთრებაში არსებული ნაკვეთი (ს/კ 81.06.21.467). ასევე, საწარმოს ტერიტორიის 500 მ-იანი დაშორების რადიუსში ფიქსირდება შემდეგი სახის ობიექტები: შპს „ალგეთი“, შპს „ე.ჯ.ლ.“, შპს „MEV SANAYI VE TICARET“ და შპს „ფარავანპერლიტი“, გამომდინარე აქედან, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და მათი არსებობის შემთხვევაში იდენტური მავნე ნივთიერებების გათვალისწინებას კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისთვის (ასევე ხმაურითა და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების კუთხით);</u>

პასუხი- ნაკვეთი 81.06.21.467 და მის მომიჯნავედ ნაკვეთი 81.06.21.473 ამავე კომპანიის ჯართის მიმღები პუნქტები ოპერირებს. გაცნობებთ, რომ ძირითადში ქარხნის მომარაგება ამ ბიზნეოპერატორებიდან ხორციელდება და სატრანსპორტო ზემოქმედება აკუსტიკური ხმაურის ზემოქმედებაც აღნიშნული გათვალისწინებით შესრულდა გზშ-ს ანგარიშის შესაბამის პარაგრაფებში. დაზუსტების მიზნით გაცნობებთ, რომ ნაკვეთი 81.06.21.467 და მის მომიჯნავედ ნაკვეთი 81.06.21.473 ჯართის მიმღებ პუნქტებში არ ხორციელდება ჯართის დაჭრა, აქ მხოლოდ მისი დასაწყობება ხდება და აღნიშნულ ტერიტორიებზე რაიმე სახის ატმოსფერულ ჰაერზე გაფრქვევის სტაციონალური წყაროების ფუნქციონირება არ მიმდინარეოს რაც გამორიცხავს კუმულაციურ ეფექტს.

გაცნობებთ რომ 500 მ რადიუსში სხვა რაიმე სახის მეტალურგიული საწარმო არ ფიქსირდება, რაც შეეხება სხვა ტერიტორიების მესაკუთრეებს აუდიტის პერიოდში ზემოთაღნიშნული ობიექტები არ ფუნქციონირებდნენ.

<u>გზშ-ის ანგარიშსა და ზდგ ნორმების პროექტის განახლებული ტექნოლოგიური სქემის ტექსტური აღწერის თავებში არ არის დაზუსტებული და შესაბამის სქემატურ ნახაზზე (გვ. 17, ზდგ ნორმების პროექტი) მოცემულ ინფორმაციას არ შეესაბამება საგლინავ დგანზე ლითონის მიწოდების თანმიმდევრული ეტაპების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას. ასევე, დასაზუსტებელია საწარმოს პროდუქციას წარმოადგენს მხოლოდ ნაგლინი, თუ ლითონის სხმულებიც (მთლიანი ან/და დამსხვრეული სახით);</u>

პასუხი- დაზუსტების მიზნით გაცნობებთ, რომ ე.წ „ციცხვ ღუმელიდან“ ლითონის რაფინირების შემდგომ ის გამოიდევნება და სპეც/ესტაკადაის საშუალებით პირდაპირ მიეწოდება საგლინავ დგანს. ლითონის სხმულები ცალკე არ შემოდის საწარმოში.

დაზუსტების მიზნით გაცნობებთ, რომ ზდკ ნორმების პროექტში გაფრქვევის წყარო N2 „უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი“ თავისთავში მოიცავს ციცხვ ღუმელს და ეტაკადას საგლინავ საამქრომდე და აღნიშნულის გათვალისწინებით გზშ-ის ანგარიშით და ზდკ პროექტში ტექნოლოგიური სქემა სწორად არის წარმოდგენილი.

<u>გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული ემისიის შეფასება ციცხვ-ღუმელებიდან. ამასთან, დასაზუსტებელია წიდის ღუმელებიდან მოცილების და გაცივების მექანიზმი, მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერში ემისიების გავრცელების კუთხით;</u>

პასუხი- გზშ-ს ანგარიშის მიხედვით სადნობი ღუმელებიდან ნადნობი პირდაპირ ისხმება ციცხ-ღუმელებში, საიდანაც შემდგომ მიეწოდება საგლინავ საამქროს. გზშ-ს ანგარიშში მოცემულია გაანგარიშება ნადნობის ჩამოსხმისას ციცხვში. აღნიშნული საკითხი ზდკ ნორმების პროექტში როგორც ზემოთ განგემარტათ წარმოადგენს გაფრქვევის წყარო N2 „უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი“

რაც შეეხება ღუმელებიდან წიდის მოშორებას, ის დროებით თავსდება ღუმელის ძირში, რასაც ემსახურება არსებული ასპირაციული სისტემის ე.წ ქოლგა და ბუნებრივ პირობებში ცივდება. ადგილზე არ ხდება მისი წყლით ან სხვა საშუალებებით გაგრილება და მსხვრება. ის დღის ბოლოს გადაინაცვლებს მცირე ზომის ფრონტალური დამტვირთველით ე.წ ბოთქეთით ტერიტორიის მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთზე N81.06.21.473 სადაც გამოყოფილია წიდის დასაწყობების უბანი, მისი შემდგომ მართვამდე (გადაეცემა სამშენელო მასალების დადამზადებელ კომპანიას).

<u>წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაციების ანგარიშისას გამოყენებული იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფონური მახასიათებლები, რომელიც ეთანადება 50 – 125 ათასი მოსახლეობის რიცხოვნობის სიდიდეს, ვინაიდან საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავის უშუალო სიახლოვეს, თუმცა გაბნევის ანგარიშის ამონაბეჭდში გაბნევის მოდელირებისას, ფონური მაჩვენებლების მონაწილეობა არ დასტურდება;</u>

პასუხი-საწარმოს განთავსების ტერიტორია მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში, რომლის მოსახლეობის გათვალისწინებით ფონური მაჩვენებელი

შეესაბამება ცხრილი 2.1-ის 10-ზე ნაკლები რაოდენობას, აქედან გამომდინარე, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ზდგ პროექტში ფონურ სიდიდედ აღებულია ცხრილი 2.10-ის შესაბამისი ფონური სიდიდე - 0 .

<u>საქართველოს მთავრობის №435 დადგენილების შესაბამისად შედუღების აეროზოლი წარმოადგენს არა ცალკეულ მავნე ნივთიერებას, არამედ მანგანუმისა და მტვრის ნივთიერებათა ნაერთს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ანგარიშში. ასევე, გაბნევის ანგარიშში გამოყენებული შედუღების აეროზოლის მახასიათებლები და კოდი (0115) არ იძებნება მოდელირების პროგრამაში „ეკოლოგი", რაც საჭიროებს დაზუსტებას;</u>

პასუხი - №435 დადგენილების შესაბამისად "ელექტროდების გამოყენებით ლითონების შედუღებისას გამოყოფილი შედუღების აეროზოლის ხვედრითი რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 20 გ/კგ-ზე, მათ შორის მანგანუმის და მისი ჟანგეულების - 2 გ/კგ-ზე შედუღებისას გამოყენებული (დახარჯული) ელექტროდების მასაზე გაანგარიშებით. ამდენად ანგარიში შესრულებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის სრული გათვალისწინებით. რაც შეეხება „კოდი (0115) არ იძებნება მოდელირების პროგრამაში „ეკოლოგში", აღნიშულ პროგრამის სტანდარტულ ვარიანტში არ არის შეტანილი არსებული ყველა მავნე ნივთიერება, ის ნივთიერებები რომელიც არ იძებნება, სისტემას აქვს საშუალება ახალი მავნე ნივთიერებების დამატების, რომელიც შეტაილ იქნა კომპიუტერულ სისტემაში, კერძოდ შედუღების აეროზოლი.

<u>დოკუმენტებში მოცემულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა უწყვეტი მონიტორინგის ხელსაწყოს შესახებ ინფორმაცია. ამასთან, საწარმოში უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები - უწყვეტ ინსტრუმენტულ მონიტორინგს დაქვემდებარებული წყაროებისა და კონკრეტული მავნე ნივთიერებების შესახებ დეტალური ინფორმაციის ჩვენებით, არ არის ასახული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმაში. გათვალისწინებული უნდა იყოს უწყვეტ მონიტორინგს დაქვემდებარებული საკითხები საქართველოს მთავრობის №413 დადგენილების შესაბამისად</u>

პასუხი - როგორც მოგეხსენებათ, უწყვეტი თვითმონიტორინგის განხორციელებაზე სახელმწიფო ზედამხედველოვაბას ახორციელებს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ხოლო აღნიშნული უწყება კი ხელმძღვანელობს ზემოაღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 192 დადგენილებით, რომელშიც უწყვეტი თვითმონიტორინგი ხორციელდება 4 მავნე ნივტიერებაზე: მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), აზოტის ორჟანგი, გოგირდის ორჟანგი და ნახშირჟანგი შესაბამისი კონცენტრაციების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიისთვის დადგენილი ზდკ ნორმების პროექტის შესაბამისად განხორციელდება უწყვეტი თვითმონიტორიგის სისტემის კონტროლზე და ცალკე მონიტორინგის გეგმაში ნივთიერებების დასახელების შეტანა ჩვენს შემთხვევაში სავალდებულო არ არის, თუმცა თუ სააგენტო მაინც მიიჩნევს საჭიროდ აღნიშნულმა ინფორმაციამ ასახვა ასხვა ჰპოვოს მონიტორინგის გეგმაში სააგენტო უფლებამოსილია ეს საკითხი ასახოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით.